ელექტრონული არბიტრაჟი

ქეთევან სანაია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

სამართლის ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი კეკენაძე, ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ,

გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ქეთევან სანაია

20.06.2020

სარჩევი

შესავალი 6

1. საქართველოში არბიტრაჟის განვითარების ისტორია.....10
1.1. არბიტრაჟის განვითარება საქართველოში 1997 წლიდან 2009 წლამდე პერიოდში.....10
1.2. არბიტრაჟის ტრანსფორმაცია, 209 წლიდან 2015 წლამდე პერიოდში 12
1.3. არბიტრაჟის განვითარება საქართველოში 2015 წლიდან დღემდე 12
2. საარბიტრაჟო შეთანხმების ელექტრონულად დადება 13
2.1. საარბიტრაჟო შეთანხმების ელექტრონულად დადების რეგულირება ქართული კანონმდებლობის მიხედვით 14
2.2. საარბიტრაჟო შეთანხმების ელექტრონულად დადების რეგულირება სხვა ქვეყნების გამოცდილებით 16
3. ელექტრონული ხელმოწერის საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი რეგულირების მექანიზმის მიმოხილვა 20
4. საარბიტრაჟო პროცესის ელექტრონულად წარმართვა 24
5. საარბიტრაჟო განხივის ადგილის როლი და მნიშვნელობა 27
6. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ელექტრონულად გამოტანა და მისი ცნობა-აღსრულება..... 30
6.1. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ელექტრონულად ცნობა -აღსრულება..... 32
7. ელექტრონული არბიტრაჟის დადებითი და უარყოფითი მხარეები 34
7.1. ელექტორნული არბიტრაჟის დადებითი მხარეები..... 35
7.2. ელექტორნული არბიტრაჟის უარყოფითი მხარეები 35
8. დავის ალტერატიული განხილის, საარბიტრაჟო ცენტრების წესიბის მომიხილვა..... 36
9. რეკომენდაციები 38

დასკვა 40

აბრევიატურები:

ა.შ. - ასე შემდეგ

იხ. - იხილეთ

ე.ი. - ესე იგი

ე.წ. - ეგრეთ წოდებული

სსკ - საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

კონვენცია - ნიუ იორკის კონვენცია

Model Law - გაეროს საერთაშორისო ვაჭრობის სამართლის კომისიის მოდელური კანონი

NYC – New York Convention

UNCITRAL – გაეროს საერთაშორისო ვაჭრობის სამართლის კომისია

AAA – American Arbitration Association

GIAC საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრი (Georgian International Arbitration Center)

ICC საერთაშორისო სავაჭრო პალატა (International Chamber of Commerce)

ICCA კომერციული არბიტრაჟის საერთაშორისო საბჭო (International Council for Commercial Arbitration)

UNIDROIT კერძო სამართლის უნიფიკაციის საერთაშორისო ინსტიტუტი (International Institute for the Unification of Private Law)

აბსტრაქტი

თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში ტექნიკურმა პროგრესმა დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება მედიაცია და არბიტრაჟი ერთგვარად ახალი გამოწვევის წინაშე დააყენა. საარბიტრაჟო შეთანხმების დადება, პროცესის წარმართვა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანა ელექტორნულ სივრცეში გახდა შესაძლებელი. COVID 19 პანდემიიით გამოწვეული სოციალური დისტანცირების ფონზე ელექტრონული არბიტრაჟის გამოყენება უფროდაუფრო აქტვალურია. საქართველოში ბიზნეს გარემოს განვითარებისა და და ინვესტიციების მოზიდვის ერთ-ერთ აუცილებელ ასპექტს მოქნილი და მხარეების საჭიროებებზე ორიენტირებული საარბიტრაჟო კანონმდებლობა წარმოადგენს. ნაშრომის მიზანია ელექრონული არბიტრაჟის პერსპექტივების გამოკვეთა, საქართველოში ელექტრონული არბიტრაჟის განხორციელების შესაძლებლობისა და გამოწვევების განსაზღვრა. ნაშრომის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ზოგადმეცნიერული, დოგმატური და ნორმატიული კვლევის მეთოდები. აგრეთვე საქართველოს კანონის „არბიტრაჟის შესახებ“ საერთაშორისო საარბიტრაჟო სფეროში არსებულ აქტებთან და სხვა ქვეყნების საარბიტრაჟო კანონდემბლობებთან შედარების მიზნით ნაშრომში გამოყენებულია შედარებითსამართლრივი კვლევის მეთოდი. ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული კვლევის ფარგლების შესაბამისად საქართველოში დღეს მოქმედი კანონი „არბიტრაჟის შესახებ“ მხარეებს დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მნიშვნელოვან და ეფექტურ სამართლებრივ მექანიზმს სთავაზობს. საქართველოში დღეს მოქმედი კანონმდებლობა იძლება შესაძლებლობას ელექტრონული ფორმით წარიმართოს საარბიტრაჟო პროცესი.

შესავალი

ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებამ სრულიად შეცვლა და ახალი რეალობა შექმნა ადამიანთა ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში. ტექნიკური პროგრესის ეპოქაში საჭირო გახდა ახალი საკანონმდებლო ბაზის შექმნა. მეოცე საუკუნის ბოლოდან დაიწყო ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით განხორციელებული სავაჭრო ოპერაციების საკანონმდებლო რეგულირება. ჩამოყალიბდა სამართლის ახალი დარგები, როგორებიცაა ინტერნეტ სამართალი, ელექტრონული კომერციის სამართალი და სხვა. უმნიშვნელოვანესია მოდალური კანონი ელექტრონული ვაჭრობის შესახებ, აგრეთვე ევროკავშირის